5636/4-13/21 2 09062021

5636/4-13/21
09-06-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრს
ქალბატონ ნათია თურნავას

საქართველოს ფინანსთა მინისტრს
ბატონ ლაშა ხუციშვილს

ასლი: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს
ქალბატონ ეკა ურუშაძეს

მის: ქ. თბილისი იოველ ჯეგაშვილის I გას 5
ტელ.:(+995 32) 2399 019 ; 2399 018

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა 2021 წლის 31 მარტს განიხილა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ წარმოდგენილი პეტიცია სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლთან დაკავშირებით და მასში დასმული საკითხის შესწავლის მიზნით, აღნიშნული პეტიცია ასევე, გადაეგზავნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიაჩნია, რომ ამა თუ იმ სამომხმარებლო პროდუქტზე ზედამხედველობის დანერგვისა და ახალი რეგულაციების ეფექტური იმპლემენტაციისთვის, არსებითად მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან შერჩეულ იქნას თანმიმდევრული (ეტაპობრივი) მიდგომა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიესალმება რა ადამიანის ჯანმრთელობაზე სამომხმარებლო პროდუქციის მავნე ზემოქმედების რისკების გამოვლენისა და შემცირების მიმართულებით აქტივობების დაწყებას, გამოთქვამს მზაობას თანამშრომლობისათვის და მიზანშეწონილად მიაჩნია საზედამხედველო მექანიზმების შემუშავება/სრულყოფა განხორციელდეს მულტისექტორული ჩართულობით მათ შორის საქართველოს ფინანსთა და

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებთან თანამშრომლობით.

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი იზიარებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსაზრებას და მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროებთან ერთობლივი თანამშრომლობა სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლის მიზნით.

კომიტეტის თავმჯდომარე
დიმიტრი ხუნდაძე